ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 2/23

ქ. თბილისი - 14 – თებერვალი, 2012 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, მდებარე ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას ქ, №12 (შემდგომში "შემსყიდველი"), სააგენტოს დირექტორი, ქეთევან ბოჭორიშვილის, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ შპს "რეგული", მდებარე ქ. თბილისი, გაგარინის ქ.№1 (შემდგომში "მიმწოდებელი"), მისი დირექტორის დავიტ არსენიშვილის სახით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამარტივებული შესყიდვის გზით, ამ ხელშეკრულების 2-ე პუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ, მიმწოდებელი ვალდებულია 2012 წლის 20 თებერვლამდე შემსყიდველს მიაწოდოს საქართველოში არსებული უძრავი ქონების საინფორმაციო ბროშურა 300 (სამასი) ცალი, განკუთვნილი 6-9 მარტს ქალაქ კანში დაგეგმილი უძრავი ქონების და საინვესტიციო გამოფენაზე წარსადგენად.

1.2. ხელშეკრულების საგნის CPV კოდია: 22110000 (ნაბეჭდი წიგნები)

1.3. ხელშეკრულების გამარტივებული წესით წარმოების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის კანონის 10^1 მუხლის 3-ე პუნქტის დ ქვეპუნქტი და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის განკარგულება # 29

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4950 (ოთხი ათას ცხრაას ორმოცდა ათი ლარი) ლარს (დღგ-ს ჩათვლით).

2.2 ანგარიშსწორება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია 2012 წლის 20 თევერვლამდე შემსყიდველს დაუმზადოს და მიაწოდოს ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული საგნები.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების მიღებას ახორციელებს საქართველოს ერონული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი ან დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

4.2. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, და საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მომსახურების გაწევიდან, ანგარიშფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5.2. სახელმწიფოსთან საგადასახადო და სხვა სახის ანგარიშსწორებას აწარმოებს მიმწოდებელი.

14.1.2. შემსყიდველისათვის საქონლის მიღებამდე ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

14.1.3. შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის მატერიალური ან სხვა მდგომარეობის საგრძნობლად გაუარესების გამო საფრთხე ექმნება მიმწოდებლის მხრიდან ვალდებულების შესრულებას;

14.1.4. თუ წარმოიშვა ხელშეკრულების 8-ე პუნქტით გათვალისწინებული ფორს მაჟორული მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის მიმწოდებლის მხრიდან ვალდებულების დროულ შესრულებას;

14.1.5. თუ წარმოიშვა ხელშეკრულების 14-ე პუნქტით გათვალისწინებული მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის მიმწოდებლის მხრიდან ვალდებულების დროულ შესრულებას;

14.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

14.3. იმ შემთხვევაში თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 50%-ს, ორივე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

14.4. ამ ხელშეკრულების 14.1.2., 14.1.3, 14.1.4. და 14.1.5. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შემსყიდველს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ხელშეკრულების შეწყვეტისა და ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ-ს „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო“,	შპს " რეგული "
დირექტორი	დირექტორი:
_____	_____
/ქეთევან ბოჭორიშვილი/	/ დავით არსენიშვილი /
ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას ქ. №12	თბილისი, გაგარინის ქ. №1.
ეროვნული ბანკი	სს თიბისი ბანკი საბურთალოს ფილიალი
ს/კ №204990082	ს/კ 404911878
ა/ა №200122900	ბ.კ. TBCBGE22
კოდი 220101222	ანგ. # GE87TB7232436080100003